სულხან-საბა ორბელიანის
უნივერსიტეტი

# საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

| | |
|---|---|
| **პროგრამის სახელწოდება** | სოციოლოგია |
| **პროგრამის ხელმძღვანელი**<br><br>**თანახელმძღვანელი** | კატარჟინა ლიდია ლენარდ-კლოში; |
| **სწავლების ენა** | ქართული, ინგლისურენოვანი კომპონენტებით |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | სოციოლოგიის ბაკალავრი<br><br>Bachelor of Sociology |
| **პროგრამის მოცულობა კრედიტებით** | 240 ECTS კრედიტი (8 სემესტრი. ერთი სემესტრი მოიცავს 16 კვირას. ერთი აკადემიური წელი 2–სემესტრიანია და მოიცავს საშუალოდ 60 ECTS კრედიტს. საგანმანათლებლო პროგრამის ან/და სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამის თავისებურებების გათვალისწინებით, წელიწადში კრედიტების რაოდენობა შეიძლება იყოს 60-ზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არა უმეტეს 75-ისა (ერთი კრედიტი = 25 ასტრონომიულ საათს) |
| **პროგრამის დამტკიცების თარიღი და ოქმის ნომერი** | 27.11.2019<br><br>N10-09 |
| **პროგრამის განახლების თარიღი და ოქმის ნომერი** | 17.01.2025<br><br>№ 01-25 |

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა**

საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების (რანჟირების დოკუმენტის) საფუძველზე ან უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში, დადგენილი წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და რექტორის ბრძანების საფუძველზე.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ორჯერ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე.

## პროგრამის მიზანი

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს:

(A) შესძინოს სოციოლოგიის საფუძვლებისა და ძირითადი თეორიების, ასევე, სოციოლოგიის სხვადასხვა აქტუალური მიმართულების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა;
(B) განუვითაროს სოციოლოგიური პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე, ეფექტური კომუნიკაციის, სოციოლოგიის მიმართულებით ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი;
(C) ჩამოუყალიბოს სოციალური კვლევის პრაქტიკული და სოციოლოგიის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები;
(D) სოციოლოგიის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები;
(E) მისცეს სოციოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ და თანამედროვე თემაზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარჩვევები, სოციოლოგიური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა.

## სწავლის შედეგები

**ცოდნა და გაცნობიერება**

კურსდამთავრებულს ეცოდინება/გაცნობიერებული ექნება:

(A) სოციოლოგიის საფუძვლები, ძირითადი თეორიების, ინსტიტუტებისა და მიმდინარე პროცესების შესახებ საბაზისო ინფორმაცია, ასევე, სოციოლოგიის ძირითადი ცნებები, თეორიული მიდგომები და ემპირიული მიგნებები;
(B) სოციოლოგიის კვლევის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი მეთოდები, მათ შორის, ინტერვიუს სხვადასხვა ფორმა, დოკუმენტების ანალიზი, ლიტერატურის მიმოხილვა, ფოკუს-ჯგუფები, დაკვირვება და ეთნოგრაფიული კვლევა, დისკურს-ანალიზი, კონტენტ-ანალიზი, ექსპერიმენტი და მასობრივი გამოკითხვა.

**უნარი**

კურსდამთავრებული შეძლებს:

(C) სოციოლოგიური პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი არსის ჩამოყალიბებას, პრობლემის გადაწყვეტის თეზისის განვითარებას, მისი გადაწყვეტის ადეკვატური გზების შერჩევასა და პრობლემის გადაწყვეტის შერჩეული მიდგომების თაობაზე კომუნიკაციას;
(D) მონაცემების შეგროვებას, სტანდარტული და უახლესი მეთოდის გამოყენებით განყენებული მონაცემებისა და/ან სიტუაციების ანალიზს;
(E) აზროვნების აბსტრაჰირებას, სხვადასხვა წყაროდან ინფორმაციის მოძიებას, მიღებული ინფორმაციის დამუშავებასა და ანალიზს, ასევე, ახალი იდეების გენერირების, დისკუსიის წარმართვის, საკუთარი მოსაზრებების საჯარო წარდგენის უნარების გამომუშავებას.

**პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

კურსდამთავრებული შეძლებს:

(F) სოციოლოგიის მიმართულებით ცოდნის მუდმივად განახლებას, აგრეთვე, კრიტიკულ აზროვნებასა და თვითკრიტიკას;
(G) პიროვნული და პროფესიული პრინციპების დასამკვიდრებლად სწრაფვას, სოციალური პასუხისმგებლობისა და ეთიკის ნორმების დაცვას.

## სწავლება-სწავლის მეთოდი

☒ ლექცია ☒ სამუშაო ჯგუფში მუშაობა ☒ პრაქტიკული მუშაობა ☒ სემინარი ☒ ელექტრონული რესურსით სწავლება

☐ ელექტრონული სწავლება ☐ სხვა

## სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სწავლის შედეგის მიღწევის დონის შეფასება მოიცავს შეფასების ფორმებს - შუალედურ (ერთჯერად ან მრავალჯერად) და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი წარმოადგენს საბოლოო შეფასებას (100 ქულა).

შუალედური და დასკვნითი შეფასება (შეფასების ფორმები) მოიცავს შეფასების კომპონენტს/კომპონენტებს, რომელიც განსაზღვრავს სტუდენტის ცოდნის ან/და უნარის ან/და კომპეტენციების შეფასების ხერხს/ხერხებს (ზეპირი/წერითი გამოცდა, ზეპირი/წერითი გამოკითხვა, საშინაო დავალება, პრაქტიკული/თეორიული სამუშაო და სხვ.). შეფასების კომპონენტი აერთიანებს შეფასების ერთგვაროვან მეთოდებს (ტესტი, ესე/ესეი, დემონსტრირება, პრეზენტაცია, დისკუსია, პრაქტიკული/თეორიული დავალების შესრულება, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, დისკუსიაში მონაწილეობა, კაზუსის ამოხსნა, იმიტირებულ პროცესში მონაწილეობა და სხვ). შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით ანუ შეფასების მეთოდის საზომი ერთეულით, რითაც დგინდება სწავლის შედეგების მიღწევის დონე.

შეფასების თითოეულ ფორმასა და კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში, რაც აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში.

დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი ფორმის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას სტუდენტის შუალედური და დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვარის ხვედრითი წილი აისახება კონკრეტულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტს სასწავლო სემესტრის დასაწყისში. შეფასების სისტემა უშვებს:

**ხუთი სახის დადებით შეფასებას:**

| | |
|---|---|
| (A) ფრიადი | შეფასების 91-100 ქულა; |
| (B) ძალიან კარგი | მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა; |
| (C) კარგი | მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა; |
| (D) დამაკმაყოფილებელი | მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა; |
| (E) საკმარისი | მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა. |

**ორი სახის უარყოფით შეფასებას:**

| | |
|---|---|
| (FX) ვერ ჩააბარა | მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; |
| (F) ჩაიჭრა | მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |

## შეფასების ფორმები და კომპონენტები

| **შეფასების ფორმები და კომპონენტები** | **მაქსიმალური ქულა** |
|---|---|
| **შუალედური შეფასება, მათ შორის:** | **70 ქულა** |
| წერითი/ზეპირი გამოკითხვა | 30 |
| შუალედური წერითი/ზეპირი გამოცდა | 30 |

| | |
|---|---|
| ინდივიდუალური საშინაო დავალება/პრეზენტაცია | 10 |
| **დასკვნითი შეფასება** | **30 ქულა** |
| დასკვნითი წერითი/ზეპირი გამოცდა | 30 |
| **სულ** | **100 ქულა** |

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 კალენდარულ დღეში. სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულის მიღების შემთხვევაში, სტუდენტს უფორმდება შეფასება F-0 ქულა.

## დასაქმების სფერო

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებულები შეძლებენ მიღებული ცოდნა გამოიყენონ როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორებში ნებისმიერ იმ თანამდებობაზე სადაც მოითხოვება სოციოლოგიის ბაკალავრის აკადემიური ხარისხი და არ არის აუცილებელი სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ან/და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებითი წინაპირობები.

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული საქმიანობის განსახორციელებლად შეიძლება დასაქმდეს:

- სოციოლოგიური და ანალიტიკური კვლევის ცენტრებში
- განათლების, პოლიტიკის, ეკონომიკის, მედიცინის, სპორტისა და ხელოვნების სფეროში ექსპერტ–ანალიტიკოსად
- მარკეტინგულ და საკონსულტაციო-ანალიტიკურ ორგანიზაციაში
- საჯარო და კერძო სტრუქტურაში ორგანიზაციის მართვისა და მენეჯმენტის სფეროში

## სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა

სოციოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული უფლებამოსილია, სწავლა განაგრძოს საქართველოს ან სხვა ქვეყნების უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში სოციოლოგიის მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, რომელიც ორიენტირებულია შემდგომი დონის სპეციალისტისა და მკვლევარის მომზადებაზე. კურსდამთავრებულს ასევე შეუძლია სწავლა გააგრძელოს ნებისმიერი მიმართულების სამაგისტრო პროგრამაზე, თუ ამ პროგრამაზე მიღების წინაპირობა არ არის შეზღუდული სხვა სპეციალობის ბაკალავრის აკადემიური ხარისხით.

## პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსი

უნივერსიტეტის საკუთრებაში და მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსი უზრუნველყოფს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების რეალიზაციასა და დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას:

***შენობა-ნაგებობანი*** - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის 24–საათიან მფლობელობაში და საკუთრებაში არსებულ შენობა-ნაგებობებში, სადაც დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური და უსაფრთხოების ნორმები (შენობებში

დამონტაჟებულია სიგნალიზაცია, არის ცეცხლმაქრები, პერიმეტრზე მიმდინარეობს ვიდეო კონტროლი, წესრიგს იცავს უნივერსიტეტის დაცვის თანამშრომელი). შენობა სრულად პასუხობს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის დადგენილ ტექნიკურ მოთხოვნებს, არის სათანადო ტექნიკითა და ინვენტარით (პროექტორი, სკამები, მერხები, დაფები და სხვ.) აღჭურვული სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობებისთვის განკუთვნილი აუდიტორიები.

***ბიბლიოთეკა*** - უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში დაცულია საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი ბეჭდური და ელექტრონული ფონდი, რომელიც ხელ-მისაწვდომია სტუდენტებისთვის, მოწვეული და აკადემიური პერსონალისათვის. ბიბლიოთეკას აქვს სათანადო ინვენტარით (სკამები, მაგიდები, კომპიუტერები) აღჭურვილი სამკითხველო დარბაზი. ბიბლიოთეკაში არის მულტიფუნქციური ქსეროქსის აპარატი, რომლით სარგებლობაც სტუდენტს ბიბლიოთეკის თანამშრომლის დახმარებით შეუძლია. სამკითხველო დარბაზში სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ ინტერნეტით და საერთაშორისო ელექტრონული რესურსით (Scopus, Science Direct, Scival Funding). უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას აქვს ელექტრონული კატალოგი.

***აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე*** - აკადემიური პერსონალისათვის შექმნილია სათანადო ინვენტარითა და ტექნიკით (სკამები მაგიდები, კარადები, ინტერნეტში ჩართული კომპიუტერი, ქსეროქსის მულტიფუნქციური აპარატი) აღჭურვილი სამუშაო გარემო.

***საინფორმაციო -საკომუნიკაციო ტექნოლოგიები*** - საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისა და ადმინისტრირების ხელშეწყობის მიზნით, უნივერსიტეტი იყენებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. არსებობს საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი პროგრამული უზრუნველყოფა, არსებული კომპიუტერული ტექნიკა პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს, ჩართულია ინტერნეტში და ხელმისაწვდომია სტუდენტებისთვის, აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის. სტუდენტებისათვის შეფასებების ხელმისაწვდომობის, ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტთა აკადემიური მოსწრების კონტროლისა და სასწავლო პროცესის ხელშეწყობისათვის გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასებისა და სწავლების ორგანიზების ელექტრონული სისტემა. უნივერსიტეტის ვებ–გვერდის მეშვეობით, რომელზეც განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, საგანმანათებლო პროგრამების განხორციელება

## სწავლების ორგანიზების თავისებურებები

სოციოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დასასრულებლად სტუდენტმა უნდა დააგროვოს 240 კრედიტი, რაც შემდეგნაირად ნაწილდება: საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები - 30 ECTS, საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები - 12 ECTS, არჩევითი სასწავლო კურსები არანაკლებ - 12 ECTS, სავალდებულო კომპონენტი არის 144 ECTS: სავალდებულო სასწავლო კურსები - 96 ECTS და არჩევითი სასწავლო კურსებიდან 48 ECTS მოცულობით, საიდანაც მოდულიდან: გენდერი და კულტურის კვლევები -არანაკლებ 12 ECTS. 18 ECTS-ის ფარგლებში უნივერსიტეტის ნებისმიერი საბაკალავრო პროგრამ(ებ)იდან. ინგლისური ენის კომპონენტი 24 ECTS. უცხო ენის კომპონენტი მოიცავს შემდეგ სასწავლო კურსებს: ინგლისური ენა (A1), ინგლისური ენა (A2), ინგლისური ენა (B1.1), ინგლისური ენა (B1.2) ინგლისური ენა (B2.1), ინგლისური ენა (B2.2).

საბაკალავრო პროგრამის სტუდენტისთვის სავალდებულოა ინგლისური ენის B2 დონეზე დასრულება, რაც პროგრამაში შეესაბამება სასწავლო კურსს ინგლისური ენა (B2.2). ინგლისური ენა (B2.2.) წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტი ვალდებულია გაიაროს პროფესიული ინგლისური სოციოლოგებისთვის, რომლის მოცულობაც 6 კრედიტია.

ინგლისური ენის სასწავლო კურსებზე განაწილება წარმოებს საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვისთანავე. განაწილების საფუძველია დონის განმსაზღვრელი ტესტის წერა, რომელიც სავალდებულოა სტუდენტისათვის.

დონის განმსაზღვრელი ტესტის შეფასების შედეგების საფუძველზე სტუდენტები გადანაწილდებიან ინგლისური ენის შემდეგ დონეებზე:

• ინგლისური ენა (A1) - 21 - 40 ქულა

• ინგლისური ენა (A2) - 41 - 51 ქულა

• ინგლისური ენა (B1.1) – 52 - 61 ქულა

• ინგლისური ენა (B1.2) – 62 - 71 ქულა

• ინგლისური ენა (B2.1) - 72 - 81 ქულა

• ინგლისური ენა (B2.2) - 82 - 100 ქულა

**შენიშვნა:** ის სტუდენტი რომელიც ტესტირების შედეგად დააგროვებს 0-20 ქულას (A0) დონეს გაივლის ინტენსიური კურსის საშუალებით და სწავლას კრედიტების დასაგროვებლად დაიწყებს A1 დონიდან.

საბაკალავრო პროგრამის სტრუქტურაში გათვალისწინებულია ინგლისური ენის 24 კრედიტი. დონის განმსაზღვრელი ტესტით ინგლისური ენის საწყის დონეზე მოხვედრის შემთხვევაში სტუდენტი დანარჩენ 12 კრედიტს აგროვებს პროგრამის ასარჩევი საგნების ხარჯზე, რათა მიაღწიოს პროგრამის დასრულებას განსაზღვრული უცხო ენის ცოდნის დონით - ინგლისური ენა (B2.2)

ის სტუდენტები, რომლებიც უნივერსიტეტში ჩარიცხვის ეტაპზე წარმოადგენენ ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ შემდეგ საერთაშორისო სერთიფიკატებს, შესაბამისი შეფასებებით, თავისუფლდებიან უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლების ვალდებულებისაგან. პროგრამის სტრუქტურით გათვალისწინებული უცხო ენის 24 კრედიტს კი აგროვებენ არჩევითი საგნების ხარჯზე. კერძოდ, სტუდენტი, რომელიც წარმოადგენს ინგლისური ენის B2-ის ან B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელ სხვა სერთიფიკატს კერძოდ: FCE; IELTS- 5.5-6.5; TOEFL Paper 513-547; TOEFL CBT-183 – 210; TOEFL IBT- 65-78

**შენიშვნა:** ყველა ზემოთ ჩამოთვლილი სერთიფიკატი განაცხადის გაკეთების დროს უნდა იყოს ძალაში და აპლიკანტს უნდა შეეძლოს მისი წარმოდგენა. ვადაგასული დოკუმენტი არ განიხილება.

## საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმა

| № | საგნის კოდი | წინაპირობა | მოდული/საგანი | ECTS კრედიტი | | | | | | | | სტუდენტის სასწავლო დატვირთვა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | I წელი | | II წელი | | III წელი | | IV წელი | | | |
| | | | | სემესტრი | | | | | | | | | |
| | | | | I | II | III | IV | V | VI | VII | VIII | საკონტაქტო საათები | დამოუკიდებელი საათები |
| სასწავლო კომპონენტი | | | | | | | | | | | | | |
| საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | წინაპირობის გარეშე | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | 6/150 | | | | | | | | 29 | 121 |
| 2. | | წინაპირობის გარეშე | კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა | | 6/150 | | | | | | | 30 | 120 |
| 3. | | წინაპირობის გარეშე | ფსიქოლოგიის საფუძვლები | | | 6/150 | | | | | | 42 | 108 |
| 4. | | წინაპირობის გარეშე | ევროპა და საქართველო | | | | 6/150 | | | | | 28 | 122 |
| 5. | | წინაპირობის გარეშე | აკადემიური წერა | | | | | | 6/150 | | | 41 | 109 |
| საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | | |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | | წინაპირობის გარეშე | შესავალი სამართალში | 6/150 | + | + | + | + | + | + | + | 30 | 120 |
| 2. | | წინაპირობის გარეშე | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები | 6/150 | + | + | + | + | + | + | + | 31 | 119 |
| 3. | | წინაპირობის გარეშე | მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო | 6/150 | + | + | + | + | + | + | + | 41 | 109 |
| 4. | | წინაპირობის გარეშე | რელიგია და საზოგადოება | 6/150 | + | + | + | + | + | + | + | 47 | 103 |
| ინგლისური ენის კომპონენტი | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | წინაპირობის გარეშე | ინგლისური ენა (A1)[1] | 6/150 | | | | | | | | 81 | 69 |
| 2. | | ინგლისური ენა (A1) | ინგლისური ენა (A2) | 6/150 | | | | | | | | 81 | 69 |
| 3. | | ინგლისური ენა (A2) | ინგლისური ენა (B1.1) | 6/150 | | | | | | | | 81 | 69 |
| 4. | | ინგლისური ენა (B1.1) | ინგლისური ენა (B1.2) | | 6/150 | | | | | | | 81 | 69 |
| 5. | | ინგლისური ენა (B1.2) | ინგლისური ენა (B2.1) | | | 6/150 | | | | | | 81 | 69 |
| 6. | | ინგლისური ენა (B2.1) | ინგლისური ენა (B2.2) | | | | 6/150 | | | | | 81 | 69 |
| სავალდებულო სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | | |

[1] შენიშვნა: ინგლისური ენის დონეებზე მითითებული სემესტრები იცვლება პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების მიერ დონის განმსაზღვრელი ტესტის შედეგების საფუძველზე

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | | წინაპირობის გარეშე | სოციოლოგიის შესავალი | 6/150 | | | | | | | | 29 | 121 |
| 2. | | სოციოლოგიის შესავალი | კლასიკური სოციოლოგიური თეორიები | | | 6/150 | | | | | | 29 | 121 |
| 3. | | კლასიკური სოციალური თეორიები | თანამედროვე სოციალური თეორიები I | | | | 4/100 | | | | | 29 | 71 |
| 4. | | თანამედროვე სოციალური თეორიები I | თანამედროვე სოციალური თეორიები II | | | | | 4/100 | | | | 29 | 71 |
| 5. | | თანამედროვე სოციალური თეორიები II; ინგლისური B2.1 | პოსტმოდერნული სოციალური თეორიები | | | | | | 6/150 | | | 29 | 121 |
| 6. | | წინაპირობის გარეშე | სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები | 6/150 | | | | | | | | 28 | 122 |
| 7. | | სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები | რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები | | 7/175 | | | | | | | 45 | 130 |
| 8. | | სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები | თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები | | 7/175 | | | | | | | 45 | 130 |
| 9. | | სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები | შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით | | 4/100 | | | | | | | 42 | 58 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10. | | წინაპირობის გარეშე | პროექტების მართვა | | | | | | | 6/150 | | 29 | 121 |
| 11. | | რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები | რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი | | | 6/150 | | | | | | 56 | 94 |
| 12. | | თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები | თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი | | | 6/150 | | | | | | 56 | 94 |
| 13. | | ინგლისური ენა (B2.2) | პროფესიული ინგლისური სოციოლოგებისთვის | | | | | 6/150 | | | | 58 | 92 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 14. | | სოციოლოგიის შესავალი, კლასიკური სოციოლოგიური თეორიები, თანამედროვე სოციალური თეორიები I, თანამედროვე სოციალური თეორიები II, პოსტმოდერნული სოციალური თეორიები, სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები, რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები, თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები,<br><br>შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით, რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი, თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი, | პრაქტიკა სოციოლოგიაში | | | | | | | 6/150 | | 90 | 135 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 15. | | I-VII სემესტრის სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსები | საბაკალავრო ნაშრომი | | | | | | | | 12/300 | 12 | 288 |
| არჩევითი სასწავლო კურსები | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | სოციოლოგიის შესავალი<br><br>ფსიქოლოგიის საფუძვლები | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | | | | 6/150 | + | + | + | + | 29 | 92 |
| 2. | | ფსიქოლოგიის საფუძვლები<br><br>ინგლისური ენა B1.1 | სოციალური ფსიქოლოგია | | | | | | 6/150 | + | + | 41 | 109 |
| 3. | | სოციოლოგიის შესავალი, ინგლისური ენა (B2.2) | ვიქტიმოლოგია<br><br>(ინგლისურ ენაზე) | | | | | | | 6/150 | + | 44 | 106 |
| 4. | | სოციოლოგიის შესავალი | შესავალი რელიგიის სოციოლოგიაში | | | | 4/100 | + | + | + | + | 29 | 71 |
| 5. | | სოციოლოგიის შესავალი | პოლიტიკის სოციოლოგია | | | | 6/150 | + | + | + | + | 29 | 121 |
| 6. | | ინგლისური ენა (B2.2) | მიგრაცია და გლობალური საზოგადოება (ინგლისურად) | | | | | | | 6/150 | + | 28 | 122 |
| 7. | | სოციოლოგიის შესავალი | ენის სოციოლოგია | | | | 3/75 | + | + | + | + | 32 | 43 |
| 8. | | სოციოლოგიის შესავალი | დანაშაულის სოციოლოგია | | | | 4/100 | + | + | + | + | 32 | 68 |

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 9. | | წინაპირობის გარეშე/ინგლისური ენა (B2.2) | კრიმინოლოგია (ქართულად/ინგლისურად)[2] | | | | | | | 6/150 | + | 44 | 106 |
| 10 | | წინაპირობის გარეშე | მართვის სოციოლოგია | | | | 6/150 | + | + | + | + | 27 | 123 |
| 11 | | წინაპირობის გარეშე | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | | | | 6/150 | + | + | + | + | 31 | 119 |
| მოდული: გენდერი და კულტურის კვლევები | | | | | | | | | | | | | |
| 12 | | თანამედროვე სოციალური თეორიები, ინგლისური ენა B2.2 | კულტურის სოციოლოგია | | | | 6/150 | + | + | + | + | 31 | 119 |
| 13 | | კლასიკური სოციალური თეორიები | კულტურის ემპირიული კვლევები | | | | 6/150 | + | + | + | + | 29 | 92 |
| 14 | | სოციოლოგიის შესავალი ინგლისური ენა (B2.2) | გენდერის სოციოლოგია (ინგლისური) | | | | | | | 6/150 | + | 28 | 122 |
| 15 | | წინაპირობის გარეშე | პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი | | | | 6/150 | + | + | + | + | 28 | 122 |

[2] შენიშვნა: წინაპირობა ინგლისური ენა B2/2 მხოლოდ იმ სტუდენტებისთვის, ვინც აღნიშნულ სასწავლო კურსს ინგლისურ ენაზე გაივლის.

| | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16 | | წინაპირობის გარეშე | კონფლიქტი, გენდერი, მშვიდობის მშენებლობა | | | | 6/150 | + | + | + | + | 31 | 119 |
| 17 | | წინაპირობის გარეშე | გენდერი და პოლიტიკა | | | | 6/150 | + | + | + | + | 28 | 122 |
| არჩევითი კურსები | | | | | | | | | | | | | |
| 1. | | წინაპირობის გარეშე | კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა | | | 6/150 | + | + | + | + | + | 31 | 119 |
| 2. | | წინაპირობის გარეშე | ლიდერობა და აქტიური კომუნიკაცია | | | 6/150 | + | + | + | + | + | 32 | 118 |
| 3. | | ინგლისური B2.2 | საქმიანი კომუნიკაციები | | | | | | | 6/150 | + | 44 | 106 |
| 4. | | წინაპირობის გარეშე | მოლაპარაკების ხელოვნება | | | 6/150 | + | + | + | + | + | 31 | 119 |
| | | | სემესტრში | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | 30 | | |
| | | | წელიწადში | 60 | | 60 | | 60 | | 60 | | | |
| | | | სულ | **240** | | | | | | | | | |

## პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების რუკა

| საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები | სწავლის შედეგები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | A | B | C | D | E | F | G |
| შესძინოს სოციოლოგიის საფუძვლებისა და ძირითადი თეორიების, ასევე, სოციოლოგიის სხვადასხვა აქტუალური მიმართულების შესახებ ფართო თეორიული ცოდნა; | X | | | | | | |
| განუვითაროს სოციოლოგიური პრაქტიკისა და მეცნიერული სიახლეებისადმი ყურადღების მიდევნების, აგრეთვე, ეფექტური კომუნიკაციის, სოციოლოგიის მიმართულებით ცოდნის მუდმივი განახლებისა და სწავლის უნარი; | | X | X | | X | X | |
| ჩამოუყალიბოს სოციალური კვლევის პრაქტიკული და სოციოლოგიის თეორიის პრაქტიკული გამოყენებისათვის აუცილებელი უნარ-ჩვევები; | | X | X | | | | |
| სოციოლოგიის სფეროში პრაქტიკული საქმიანობისას სამართლიანობის, სოციალური და დემოკრატიული ფასეულობების დაცვის, აგრეთვე საკითხის შეფასების, ანალიზის, მსჯელობის, დასაბუთების, ამოცანების გადაწყვეტისთვის აუცილებელი უნარები; | | | | X | | X | X |
| მისცეს სოციოლოგიის სხვადასხვა აქტუალურ და თანამედროვე თემაზე ხელმძღვანელის მითითებით მცირე მოცულობის კვლევის ჩატარების უნარჩვევები, სოციოლოგიური პრობლემებისა და თანამედროვე საკითხების დამუშავების, შემდგომი განვითარებისა და ცოდნის გაღრმავების შესაძლებლობა. | | X | | | | | |

## პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსებისა და პროგრამის სწავლის შედეგების რუკა

| № | მოდული/საგანი | კურსის სტატუსი | | პროგრამის სწავლის შედეგები | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | (A) | (B) | (C) | (D) | (E) | (F) | (G) |
| 1. | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | D | P | | | | + | + | | |
| 2. | კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა | p | | | | | + | + | | |
| 3. | ფსიქოლოგიის საფუძვლები | D | | | | | | | + | + |
| 4. | აკადემიური წერა | p | | | | | + | + | | |
| 5. | ევროპა და საქართველო | I | D | | | | + | | + | |
| 6. | ინგლისური ენა (A1) | I | P | | | | | + | | |
| 7. | ინგლისური ენა (A2) | I | P | | | | | + | | |
| 8. | ინგლისური ენა (B1.1) | D | P | | | | | + | | |
| 9. | ინგლისური ენა (B1.2) | D | P | | | | | + | | |
| 10. | ინგლისური ენა (B2.1) | D | P | | | | | + | | |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11. | ინგლისური ენა (B2.2) | M | | | | | | + | | |
| 12. | სოციოლოგიის შესავალი | I | D | + | | | | | | |
| 13. | კლასიკური სოციალური თეორიები | D | | + | | + | | | | |
| 14. | თანამედროვე სოციალური თეორიები I | D | | + | | + | | | + | |
| 15. | თანამედროვე სოციალური თეორიები II | D | | + | | + | | | + | |
| 16. | პოსტმოდერნული სოციალური თეორიები | D | | + | | + | | | | |
| 17. | სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები | I | D | | + | | | | | |
| 18. | რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები | D | | | + | | + | | | |
| 19. | თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები | D | | | + | | + | | | |
| 20. | შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით | I | P | | | | + | | | |
| 21. | პროექტების მართვა | D | P | | | | | + | | + |
| 22. | რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი | P | | | + | + | + | + | | |
| 23. | თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი | P | | | + | + | + | + | | |
| 24. | პროფესიული ინგლისური სოციოლოგებისთვის | M | | | | | | + | + | |
| 25. | პრაქტიკა სოციოლოგიაში | P | M | | + | + | + | + | | + |
| 26. | საბაკალავრო ნაშრომი | M | | | + | + | + | + | | + |

კურსის სტატუსი

| I – შესავალი კურსები (Introduction) | D - განმავითარებელი კურსები (Developing) | P - პრაქტიკული კურსები (Practical) | M- დაოსტატების კურსები (Master) |
|---|---|---|---|
| | | | |

# პროგრამის სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსების სწავლის შედეგების რუკა

| | მოდული/საგანი | სწავლის შედეგები | | |
|---|---|---|---|---|
| | | ცოდნა და გაცნობიერება | უნარი | პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა |
| | **საუნივერსიტეტო სავალდებულო სასწავლო კურსები** | | | |
| 1. | საოფისე კომპიუტერული პროგრამები | + | + | |
| 2. | კომუნიკაცია, პრეზენტაცია და დისკუსიის ტექნიკა | + | + | + |
| 3. | ფსიქოლოგიის საფუძვლები | + | + | + |
| 4. | ევროპა და საქართველო | + | + | + |
| 5. | აკადემიური წერა | + | + | + |
| | **საუნივერსიტეტო არჩევითი სასწავლო კურსები** | | | |
| 6. | შესავალი სამართალში | + | + | + |
| 7. | ბიზნესის ადმინისტრირების საფუძვლები | + | + | + |
| 8. | მსოფლიო ცივილიზაციები და საქართველო | + | + | + |
| 9. | რელიგია და საზოგადოება | + | + | + |
| | **ინგლისური ენის კომპონენტი** | | | |
| 10. | ინგლისური ენა (A1) | + | + | + |
| 11. | ინგლისური ენა (A2) | + | + | + |
| 12. | ინგლისური ენა (B1.1) | + | + | + |
| 13. | ინგლისური ენა (B1.2) | + | + | + |
| 14. | ინგლისური ენა (B2.1) | + | + | + |
| 15. | ინგლისური ენა (B2.2) | + | + | + |
| | **სპეციალობის სავალდებულო კურსები** | | | |
| 16. | სოციოლოგიის შესავალი | + | + | + |
| 17. | კლასიკური სოციალური თეორიები | + | + | |
| 18. | თანამედროვე სოციალური თეორიები I | + | + | |
| 19. | თანამედროვე სოციალური თეორიები II | + | + | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 20. | პოსტმოდერნული სოციალური თეორიები | + | + | |
| 21. | რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები | + | + | + |
| 22. | სოციალური მეცნიერებების კვლევის მეთოდები | + | + | + |
| 23. | თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის მეთოდები | + | + | + |
| 24. | შესავალი სტატისტიკურ ანალიზში SPSS-ის გამოყენებით | + | + | |
| 25. | პროექტების მართვა | + | + | + |
| 26. | რაოდენობრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი | + | + | + |
| 27. | თვისებრივი სოციოლოგიური კვლევის პრაქტიკუმი | + | + | + |
| 28. | პროფესიული ინგლისური სოციოლოგებისთვის | + | + | + |
| 29. | პრაქტიკა სოციოლოგიაში | + | + | + |
| 30. | საბაკალავრო ნაშრომი | + | + | + |
| | სპეციალობის არჩევითი კურსები | | | |
| 31. | გენდერის სოციოლოგია<br><br>(ინგლისური) | + | + | + |
| 32. | სოციალური ფსიქოლოგია | + | + | + |
| 33. | კულტურის სოციოლოგია | + | + | + |
| 34. | შესავალი რელიგიის სოციოლოგიაში | + | + | + |
| 35. | პოლიტიკის სოციოლოგია | + | + | + |
| 36. | მიგრაცია და გლობალური საზოგადოება (ინგლისურად) | + | + | + |
| 37. | ენის სოციოლოგია | + | + | |
| 38. | დანაშაულის სოციოლოგია | + | + | + |
| 39. | კრიმინოლოგია (ქართულ/ინგლისური) | + | + | + |
| 40. | ვიქტიმოლოგია (ინგლისურ ენაზე) | + | + | + |
| 41. | პოლიტიკური კულტურის შედარებითი ანალიზი | + | + | + |
| 42. | კულტურის ემპირიული კვლევები | + | + | + |
| 43. | ინტერპერსონალური კომუნიკაცია | + | + | + |
| 44. | მართვის სოციოლოგია | + | + | + |
| 45. | კონფლიქტი, გენდერი, მშვიდობის მშენებლობა | + | + | + |
| 46. | გენდერი და პოლიტიკა | + | + | |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| **47.** | ადამიანური რესურსების მენეჯმენტი | + | + | + |
| | არასპეციალობის არჩევითი კურსები | | | |
| **48.** | ლიდერობა და აქტიური კომუნიკაცია | + | + | + |
| **49.** | კრეატივისა და იდეების გენერირების ტექნიკა | + | + | + |
| **50.** | მოლაპარაკების ხელოვნება | + | + | + |
| **51.** | საქმიანი კომუნიკაცია | + | + | + |